ალ. ლომთათიძე. (ს.-დ.) ბატონებო, ბატონმა ვ. წერეთელმა პრეცედენტის შესახებ მოგახსენათ. მან განაცხადა ეს პრეცედენტი იქნებაო. მე არ ვგულისხმობ კაშათს, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ მართლაც პრეცედენტი არ უნდა შეიქნას, და ეს შეიქნება თუ ვ. წერეთელის წინადადებას მივიღებთ. აქ კანონ-პროექტში შავით თეთრზე არის დაწერილი. მართვა-გამგეობა ყველა სკოლისა არის სახალხო განათლების სამინისტროს ხელში. თქვენ ეს მიიღეთ ამას კვერი დაუკრით და აი ეხლა მე გეკითხებით არის თუ არა სამინისტროს ხელში უკვე სრული მართვა-გამგეობა? ეხლა საკითხი უკვე გადაწყვეტილია პრინციპიალურად. მართვა-გამგეობა უკვე განათლების მინისტრის ხელშია. თუ თქვენ ეს ვერ დაიბეჭდეთ დ თუ წერეთელმა ვერ დაინახა ეს, ჩვენი ბრალი არაა. ჩვენ დავამაყეთ, რომ აქ წინასწარი გადაწყვეტილებაა.

მე ვამბობ, რომ ამ პრინციპს, თუ ჩვენ საკითხს პრინციპიალურად გუწყვეტთ მას უნდა დაუპარდაპარდოთ მეორე პრინციპიც. რაკი არის ნათქვამი ეს, უნდა ითქვას. მეორეც აქ ნათქვამია, რომ მთავარი გამგეობა და ხელმძღვანელობა სამინისტროს ხელშია. ჩვენ არაფერს ვიტყოდით, რომ აქ ყოფილიყო ნათქვამი ასე: „ზედმეხედველობა და მთავარი ხელმძღვანელობა“ მაშინ ჩვენ არაფერს ვიტყოდით, იმიტომ, რომ დღეს ყოველ შემთვევაში როგორც პირველში ისე მეორეში ეს სახელმწიფოს ხელში უნდა იყოს, შემდგ სავალო და დაბალი სკოლები გადავა თვითმართველობის ხელში. მაგრამ აქ ამაზე არ გავლაპარაკობ. აქ ლაპარაკი გახლავთ მართვა-გამგეობაზე და ეს მართვა-გამგეობა უკვე დაკისრეთ სახალხო განათლების სამინისტროს. თქვენ გვეკითხებით, რომ პრინციპი წამოაყენეთ და ერთგვარი პრეცედენტი შეჰქმენითო. მე კი გიპასუხებთ, თუ არის აქ რამე პრეცედენტი ამას ჰქმნის წერეთლის წინადადება (ვ. წერეთელი. კანონი დროებითია!) დიახ! დროებითზე მოგახსენებთ. აქ ერთი გამობრძანდა და განაცხადა პრინციპიალურად მე არა მაქვს რა საწინააღმდეგო, მეორეც გამობრძანდა და ბრძანა, მესამეც. მაშ რაშია, ბატონებო, საქმე? პრინციპიალურად თუ არა ხართ წინააღმდეგი, მაშინ რატომ არ ეთანხმებით ჩვეს წინადადებას? მე აკი მოგახსენებთ, რომ შეიძლება ეს ერთი წლის განმავლობაში არ მოხდეს, შეიძლება დღეიანდელ სახელმწიფოსთვის ეს შეუძლებელი გახდეს, მაგრამ შემდეგ ეს შესაძლებელი იქნება და მე მიკვირს, რომ თქვენ ამას ეწინააღმდეგებით. მე მგონია ეს საკითხი ეხლა უკვე საქმაოდ გაშუქებულია. ხოლო რაც შეეხება იმ განცხადებას, რომ შეიძლება ხვალ ლაპარაკი ჩამოვარდეს სხვა სამინისტროს, მაგალითად შინაგან საქმეთა სამინისტროზე, მე არ ვიცი შემთხვევითი იყო ნათქვამი ის თუ მოსაზრებით. თუ ეს მოსაზრებით იყო ნათქვამი და lapsus linquae არ იყო, მაშინ ეს საშუხაროა. ჩვენ, განათლების სამინისტროზე იქნება, შინაგან სამინისტროზე, თუ სამხედრო საქმეთა სამინისტროზე, ყოველთვის ვიტყვით რის თქმაც ჩვენი ვალია.

თ ა მ ა ზ დ ო მ ა რ ე. სიტყვა ეკუთვნის სამჭოს წევრს სამსონ ფირცხალავას.

ს. ფ ი რ ც ხ ა ლ ა ვ ა. (ს. ფ.) მე კიდევ საქიროდ მიმაჩნია ერთი გამოვაცხადო, რომ ჩვენ სოციალიტ-ფედერალისტები არაფერ საწინააღმდეგოს არ ვხედავთ, ჩვენი აზრის და სოციალ-დემოკრატიის აზრის შორის. ყველასთვის ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენ იდეალური სახელმწიფოს წეს-წყობილება მაშინ გვექნება, როდესაც სახელმწიფოს წეს-წყობილებაში მონაწილეობას მიიღებს არა მარტოდ ცენტრი, არამედ ადგილობრივი ორგანიზაციები, როდესაც მართვა-გამგეობა იქნება განაწილებული როგორც ცენტრალურს ისე ადგილობრივ უწყებათა შორის. ჩვენ ამ იდეალისკენ უნდა მივისწრაფოდეთ და რაც მალე განხორციელდება ეს, მით უკეთესი იქნება ჩვენი საზოგადოებრივი ეკონომიური და კულტურული ცხოვრებისათვის. მე წარმოდგენილი მაქვს მომავალი საქართველო, როგორც პატარა ფედერატიული სახელმწიფო, სადაც ყოველ მაზრას თავისი შინაური ცხოვრება დამოუკიდებლად ექნება მოწესრიგებული, და ეს დამოუკიდებლობა გამოხატება არა მარტო სწავლა-განათლების საქმეში, არამედ ყოველ დარგში, მაგალითად ადმინისტრაციის გამძღოლნი იქნებიან არა ცენტრიდან, არამედ ადგილობრივ არჩეული კაცი. ცხადია იქნება ფინანსიურ და სხვა საქმეებში. საერთოდ, ყოველივე ადგილობრივი საქმე უნდა იყოს ადგილობრივ მკვიდრთ არჩეულ ორგანოს ხელში. ეს არის ელემენტალური, ყველასათვის გასაგები სახის პოლიტიკური, იდეალური ორგანიზაცია, და მე მგონი ამის შესახებ ლაპარაკი საჭირო არ არის, მაგრამ ამასთან არ შეგვიძლიან ანგარიში არ გაუწიოთ ჩვენ რა დღეს, როდესაც შენდება ჩვენი სახელმწიფო, როდესაც ჩვენი სახელმწიფო შექმნილი არ არის დღეს საჭიროა რომ ეს ცენტრალური ძალა უფრო დიდი იყოს, ვიდრე ეს შესაძლებელია ახლო მომავალში იყოს. ამას ანგარიშს უწევდით ყველა დარგში, ანგარიში უნდა გაუწიოთ სწავლა-განათლების საკითხშიაც. მაგალითები ჩვენ გვჭონდა, რომ აქედან გადაიყვანდა განკარგულება, ყველა უწყებებიდან, ადგილობრივი მოღვაწენი უძღვებოდნენ ამ საქმეს ამ ცენტრის ხელმძღვანელობით. ამიტომ მე მოგახსენებთ, რომ ჯერ, ამ ხანად, სანამ ჩვენ ცხოვრება არ დალაგებულა, სანამ რესპუბლიკა არ დამკვიდრებულა, ერობა არ შემოკვეულა, ჩვენ არ შეგვიძლიან მთელი ფუნქციები სახელმწიფოსი გადავცეთ ადგილობრივ ორგანიზაციებს. ჩვენ გვექნება ერობა ახლო მომავალში, მაგრამ ამავე დროს ერობის ხელში არ იქნება ადმინისტრაციის—მართვა-გამგეობა, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, მომავალში ერობის ხელში უნდა იყოს ადმინისტრაცია. ამიტომ ვფიქრობ, რომ სკოლის დეცენტრალიზაცია, როგორც სხვა საქმეების, ჯერ ჯერობით შეუძლებელია. ეჭვს გარეშეა, რომ ერობას დიდი როლი უნდა ეკუთვნოდეს სწავლა-განათლების საქმეში. რასაკვირველია, პირველ დაწყებითი სწავლა-განათლება სავსებით ერობის ხელში უნდა იყოს. რაც შეეხება საშუალო სასწავლებლების ორგანიზაციას, მე მგონია ამ საგანზე შეიძლება ვიდავოთ; შეიძლება თუ არა მთლად გადავცეთ ერობის ხელში საშუალო სასწავლებლები, ამაზე შეიძლება ვიქონიოთ მსჯელობა, ამაზე შეიძლება ვიკამათოთ. ყოველ შემთხვევაში შეიძლება სჯა-ბაასი ვიქონიოთ, ეილაპარაკოთ, იმ მოსაზრებით, რომ საქმე გამორკვეული სრულებით არ არის. მე ვამბობ, რომ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის წარმომადგენლის მიერ შემოტანილი შესწორება პირველ მუხლში მივიღოთ და რაც შეეხება შენიშვნას, ეს შენიშვნა შემდგში იყოს შემოტანილი სათანადო კანონ-პროექტის გარჩევის დროს, და მაშინ ვიქონიოთ მსჯელობა. მე მგონი რომ ყველ შემთხვევაში არავინ არ ეწინააღმდეგება იმ აზრს, რომ სწავლა-განათლების საქმეში დიდი როლი ერობას და ქალაქის თვით-მართველობას ეკუთვნის. ეს წინააღმდეგ არც არას ვიტყვით და არც გვნება სათქმელი რაში. მაგრამ მაინც საჭირო განვსაზღვროთ რამდენი ეკუთვნის სახელმწიფოს, ცენტრს, რამდენი ეკუთვნის ერობას, რამდენი ეკუთვნის ქალაქის თვით-მართველობას. ისე რომ ამ საქმის გადაჭრას ერთნაირი მომზადება უნდა და უფრო ბანგრძლივი კამათი და მსჯელობა უსაჭიროება. იმიტომ ის წინადადება, რომელიც ამხანაგმა ლომთათიძემ წარმოადგინა, ჩემის აზრით, უნდა მიეღოთ დღეს და ის შენიშვნები, რომელიც შემოტანილნი იყვნენ, ის შენიშვნები შეიმუშავებული და განხილული უნდა იყვეს ცალკე, სათანადო კანონ-პროექტის დროს და მაშინ გადავწყვეტოთ ასე თუ ისე ეს საკითხი. ასეთია წინადადება სოციალისტ-ფედერალისტების ფრაქციისა.

თ ა მ ა ზ დ ო მ ა რ ე. სიტყვა ეკუთვნის განათლების მინისტრს გიორგი ლასხიშვილს.

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს მ ი ნ ი ს ტ რ ი გ. ლასხიშვილი. ბატონებო, ამ შესწორების მიღება, რომელიც წარმოდგენილია ბატონ ლომთათიძის მიერ პირველი შესწორების მიღება, ჩემის აზრით, ყოველად შეუძლებელია, ეს შესწორება ეწინააღმდეგება შენიშვნას. ეს შესწორება ამბობს: რომ მინისტრს ეკადება მთავარი ხელმძღვანელობა, მთავარი გამგეობის შესახებ, სრულიად არაფერია ნათქვამი კანონ-პროექტში, შენიშვნა აქ იქნება ასეთი. მომავალში საერთოთ ქალაქების, თვით-მართველობას გადაეცემა სკოლის მართვა-გამგეობა (ხმები: მანამდისინ, ბატონო!) ბატონებო, ჩვენ ვიმბობთ რომ ზედმხედველობა, მართვა-გამგეობა არის მინისტრის ხელში, თქვენ ახლა უარყოფთ ამას, თქვენ გინდათ, მართვა-გამგეობა ამოიშალოს და დაიწეროს „საერთო ზედამხედველობა“. მე ვფიქრობ, სანამ სკოლის მართვა-გამგეობა სამინისტროს ხელშია, სანამ საშუალო სკოლის მართვა-გამგეობის საკითხი სადაო არის, და თითონ ეს შენიშნეა ეხება პრინციპს, მე ვფიქრობ, რომ ეს პრინციპი დეკლარაციის სახით შეიძლება შემოტანილი იყოს, მაგრამ ეს ერთგვარ არევ-დარევას შეიტანს, საჭიროება კი არავითარი არ არის. მე ვფიქრობ რომ არ არის საჭირო, ერთის მხრივ ობიტომ, რომ საშუალო სკოლის შესახებ საკითხი ძალიან სადაოა და დაგეჭირდება ამ პრინციპის, ამ საქმის განხილვა: შეიძლება თუ არა ქალაქის თვით-მართველობას გადაეცეს საშუალო სკოლის გამგეობა. ამიტომ მე ვიმბობ, რომ ასეთი დეკლარაცია წინასწარია და საჭირო არ არის, მე ვიმბობ რომ ეს შესწორება ზედმეტია. ამ მხრიც ეხლა უკეთესად იყოს ნათქვამი, რომ მართვა-გამგეობა და მთავარი ხელმძღვანელობა ყოველგვარ სკოლების კანონით განსაზღვრულ ფარგლებში ეკუთვნის განათლების მინისტრის.

თ ა მ ა ზ დ ო მ ა რ ე. წინადადებად შემოტანილი სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციისა: „ვინაიდან საკითხის განხილვა გრძელდება, გთხოვთ, რომ კამათი გადაიდოს მომავალ სხდომისთვის“.

ვინ არის მოქმრე ამ წინადადებისა? მაშასადამე კამათი გადადებულია, და კრებას ვხურავ.

(კრება სწყდება 4 საათსა და 45 წუთზე).

პარლამენტის ქრონიკა.

27 ენკენისთვის სხდომა.

თავმჯდომარეობს კ. ს. ხიჩიძე.

ნ. ჩოგოძის მოხსენებით მიიღეს სახელოვნო ტექსტი კანონისა სახელმწიფო კონტროლის ჯამაგირის დანიშნის შესახებ და ჯარისკაცებისათვის სპირტის, თამბაქოს, პაპიროსის და სპიჩკის უფლებათ გაცემის მოსპობის შესახებ. საკონსტიტუციო კომისიის წევრი ი. არსენიძე მოხსენების კითხულობს პარლამენტში სახელმწიფოებრივ ენის შესახებ და შესახებ იმისა, თუ რა ენაზე უნდა იქნას ასრულებული საკონსტიტუციო კომისიაში სახელმწიფოებრივ ენით ერთხმათ ვაღიარეთ—ქართული ენა. მაგრამ იმ საკითხმა, თუ რომელ ენაზე უნდა იქნას ასრულებული უმცირესობათა წარმომადგენელმა, კამათი გამოიწვია და ბოლოს გადაწყვეტეთ: მათ უფლება მიეცეთ ილაპარაკონ ქართულ ენაზე. ამგვარათ უმცირესობათა ენები იქნება არაოფიციალური, არამედ დამხმარე კანონ-პროექტში სამი მუხლია: 1. რუსებისა კისათვის სახელმწიფო ენაა—ქართული; 2 კანონმდებლობა და კამათი პარლამენტში ხდება ქართულ ენაზე; 3. უმცირესობათა ერების წარმომადგენელ უფლება ეძლევათ სიტყვები წარმოსთქვან არა ქართულ ენაზე.

დ. ჩიქოვანი, ს. კედია და შ. ჭარუმიძე მოითხოვენ, რომ უმცირესობათა წარმომადგენლებმა სიტყვები წარმოსთქვან აუცილებლად ქართულ ენაზე. ი. ბარათაშვილი იცავს კანონ-პროექტს. საყვარელიძე აღნიშნავს ამ საკითხის ისტორიას და ამბობს, რომ ეს საკითხი ჩვენ ვერ გადავჭრით ისე, რომ ვინმეს არ ეწყინოს. ამ საკითხის გადაჭრა ჩვენ ვერ შევძელ

ერთ ტერიტორიულ და ერთ ენიანობისაკენ, მაგრამ არის მდგომარეობა, როდესაც კომპრომისია საჭირო. ჩვენ მოვიწვიეთ უმცირესობათა წარმომადგენლები. მათ საშუალება უნდა მივსცეთ იმეშაონ აქ. თუ ვინმე მათგანს არ ეცოდინება სახელმწიფო ენა, მან თავის დედაენაზე ლაპარაკის უფლება უნდა მიიღოს. ეს დროებითი მოცულია იქნება, რადგან ახლაც ბევრმა მათგანმა იცის ქართული ენა და ახლო ქომავალში კიდევ მეტი შეისწავლის მას და მაშინ აღარც საჭირო იქნება ასეთი კომპრომისული კანონ-პროექტი. ფაჩუაშვილი იცავს კანონ-პროექტს. ნ. ჭარცვაძე კანონ-პროექტს არ ეთანხმება და შესწორებები შეაქვს. კამათის დასრულებისას შეიდგინენ მუხლობრივ განხილვას. ირ. წერეთელს შეაქვს წინადადება მესამე მუხლი პირისხსნას მდგომარეობისა და საკითხის საგებით გამორკვევამდე. სხდომის შეწყვეტის შემდეგ 25 ხმით 21 წინააღმდეგ მიიღეს მესამე მუხლი 3. საყვარელიძის შემდეგი რედაქციით: „ნაციონალურ უმცირესობათა წარმომადგენლებს სახელმწიფო ენის უცოდინარობისა გამო უფლება ეძლეთ წარმოსთქვან სიტყვა თავის დედაენაზე“. ამასთანავე მიიღეს შემდეგი შენიშვნა: „ნაციონალურ უმცირესობათა მიერ მშობლიურ ენის ხმარების წესი და მისი თანაბრი რეგლამენტით განისაზღვრება“. დაბოლოს მიიღეს ს.ფ. წინადადება სარეგლამენტო კომისიამ ერთი კვირის განმავლობაში წარმოადგინოს საჭირო შესწორებანი.

ბაქოს ამბები.

II

ახალმა დრ. მთავრობამ პირველსავე სხდომაზე აღძრა საკითხი ინგლისელების მოწვევის შესახებ. გადასწყვიტეს და ენზელიდან დაიბარეს ინგლისელი ჯარის უფროსი გენერალი. გენერალმა მოითხოვა, რომ მთელი სომხური ძალების გამგებლობა ინგლისელთა ხელში გადასულიყო; თავის ჯარებისათვის სურსათი თითონვე უნდა მოეტანათ; სამაგიეროდ ინგლისელები დაჰპირდენ, რომ ორი კვირის განმავლობაში 10.000 ჯარისკაცს გადმოსხამენ ქალაქისა და მისი მიდამოების დასაცავათ. და არა თუ ოსმალეთის ჯარებს გარეკავენ და გერმანულ ორიენტაციას შეარყეენენ, არამედ მთელს ამიერ-კავკასიას გაანთავისუფლებენ შემოსულულ ბოლშევიკების ჯარებისაგან.

მთავრობა დასთანხმდა.

მესამე დღეს ენზელიდან ინგლისელებმა გადმოსხეს 3000-დე ჯარისკაცი და შეუდგნენ პოზიციების გამაგრებას. რამდენიმე ხნის შემდეგ კიდევ 2 ათასამდე ჯარისკაცი მოუმატეს თავიანთ ძალებს. გამაგრების შემდეგ დაიწყეს გაზიდვა ბენზინისა და ზაჭრისა, რაც დატვირთულ გემებით გაჰქონდათ ენზელისა და კრასნოარსკისკენ.

ამ ხნის განმავლობაში დროგამოშვებითი შეტაკებები იყო და ბინაგადი, შუბანი და მგლის კარები (ვოლჩი ვოროტა) ხელიდან ხელში გადადიოდა დაახლოებით 7 ენკენისთვემდე. ენკენისთვის 7-ს მოვიდა ნური-ფაშას წინადადება დაშნაკცაკანებისადმი, რომ თუ არ გინდათ მთლად ამოგწყლტოთ და გაგაწიადუროთ, დაგნებდითო, მაგრამ დაშნაკცაკნებმა უარი შეუთვალეს.

ამის შემდეგ ენკენისთვის 8-ს დაიწყო ძლიერი საარტილერიო ბრძოლა, რომელმაც 2 დღეს გასტანა. 11-ს ოსმალებმა სამხარი გეგმით შედგენილი საალყო და საიერიშო მოქმედება დაიწყეს.

იმ დღეებში მოხდა პარტიების შეერთებული თათბირი, რომელზედაც ქალაქის დანებების საკითხი იხრჩოლა. მაგრამ დაშნაკცაკანებმა უარი სთქვეს და განაგრძეს ბრძოლა. მთელ მცხოვრებლები 45 წლიანამდე ამიტულს სათრად გამოსცეა. (43 წლიანები ჯარში დაანაწილეს, 43 და 52 წლიანები სანგრების და სადარების საშხრელად და გასამაგრებლად ამოშვიდეს) ამ რიგად გაწვეული სომხური ძალა 30.000 კაცამდე შესდგა. ინგლისელებს კი 5.000-დე რეგულიარული ჯარი ჰყავდათ.

მთელი ოთხი დღის განმავლობაში ქალაქი საშინელ, აუწერელ მდგომარეობას განიცდიდა.

ოსმალები ხარბაზნებს უშენდენ განსაკუთრებით ინგლისელ შტაბს და მთავარ ბანაკს. ქალაქში დაზიანდა უმთავრესად ნიკოლაევის ქუჩა და ველიკოკნიაქესკი პროსპექტი. შენობები სახტ. „ჩარდოტელი“, ლალაევის პასაჟი, კავკასიის ბანკი და კიდევ რამდენიმე დიდი შენობა. ზღვაში მდგომ გემს კი, რომელზედაც ინგლისელთა შტაბი იყო უმთბარით მარცხენა მხარე დაუზიანეს.

14 ენკენისთვეს, შაბათ დღეს, მთელმა მდიდარმა სომხებმა ბანკებიდან ფული გაიტანეს, გემებზე გადაზიდეს წასასვლელად დატვირთეს და გავიდნენ ზღვაზე. საღამოს კი, როცა ინგლისელებმა შეატყვეს, რომ ბრძოლა აღარ შეიძლება, შეაჩერეს სომარი მოქმედება და გემებისკენ გაეშურენ. ერთი სათის განმავლობაში გავიდნენ ნავთსადგურიდან.

ათამდე და როცა ქუჩებზე შეიქნა ხელჩართული ომი და ვეღარ გაუძლეს, მხოლოდ მაშინ დაიხიეს უკან და შავი ქალაქისკენ გაიქცნენ.

გემებით გაქცეულ სომხების შესახებ კი შემდეგი ამბავი გავიგეთ: 17 ენკენისთვეს პეტროფსკიდან მომავალი გემი მოვიდა, ეგრეთ წოდებულ „მეტომრეებით“ სავსე, რომლებიც პორის ჩამოსახდათ იყვნენ წასულნი და სთქვეს, რომ მემარჯვენენ სომხები. დაშნაკცაკანები პეტროფსკში დარჩენ, და დანარჩენი კი, რომლებიც ბაღშეიკებთან ბლოკში იყვნენ, აგრეთვე ზოგიერთი რუსებიც, სამხედრო გემებ „ჟარდანთან“ და „ყარსთან“ ერთად ასტრახანისკენ წაიყვნენენ.

ამრიგად დამთავრდა ბაქოს აღების საქმე.

ბ.

ᲬᲘᲗᲔᲚ ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲔᲚᲔᲑᲘ

ამ სათაურით გაზ. „კიევსკაია მისლ“-ში დაბეჭდილია სტან. ვოლკას *) წერილი. მოგვყავს შემოკლებით: „საერთო მიღებული აზრით რუსი წოდულ გვარდიელი ისეთი არსებაა, რომლისაგანაც მოსალოდნელია ყველაფერი, გარდა სიკეთე და სათნოებისა. კავკასიელ გვარდიელს ასეთი დახასიათება არავინ არ მიუდგება. კავკასიაში მყოფი რუსის ოფიცრებიც კი, რომლის უმრავლესობა შავრაზმული სულით არის გაღელვნილი აღიარებენ მათ დამსახურებას და დასტურებენ, რომ ვ. ჯუღელის (წითელი გვარდიის უფროსი) ულაშქრობა კავკასიაში ყოველივე თავდაყირა დატრიალებდათ.

როცა ოსმალები ბათომს მოაწვნენ და ნაციონალური ჯარი თავზარდაცემული გარბოდა, მხოლოდ წითელი გვარდია აღმოჩნდა ერთად-ერთი ნაწილი, რომელიც პოზიციაზე დარჩა და ბრძოლა განაგრძო. როდესაც სამხრეთ-დასავლეთით იმავე ოსმალების ჯარი თბილისს ემუქრებოდა, ისევ წითელ გვარდიელებმა მოახერხეს, ბრძოლის მოწონავე გეზი შეინარჩუნეს და ამით შეაჩერეს გაქცეული რეგულიარული ჯარი. ასევე იყო დეშმითისა და ლეჩხუმის მაზრებში აჯანყების დროს. თვით ტფილისში, როდესაც ომი წაადგა, ბალშევიკური მოძრაობა ფეხს იკიდებდა, კავკავიდან თავდასხმას ელოდენ და შეფიქრიანებულმა მთავრობამ არ იცოდა რა ექნა, ისევ წითელ გვარდიელების მეოხებით დაბრაზა ყველაფერი. საჭირო იყო სახელმწიფოებრივი შეგნება აუცილებლობა და სწორედ ასეთი შეგნება, რომელიც რუსეთისთვის უცხო ხილი აღმოჩნდა, გარეგნულად უდარდელ და ეშხიანნიერმა სამხრეთელმა გამოიჩინეს.

არა, ისინი სრულიად არა ჰგვანან ჩრდილოელ მუცელ აღორებულ ჯოუტებს. ამათ სულში შეგნების ღრმა კვალია გადეტებული, და თვით შიშისა და ყოყმანის დროსაც კი აზროვნება არ ეფანტებათ.

ამის დადასტურება და ზნე-ჩვეულებანი, არჩეულ წინამძღოლის ერთგულება და პატიოსნების დაცვის თავისებური გრძნობა—ყოველივე ეს ერთად შეხვევეული აქვთ სამხრეთის უდარეულ შეილებს და არა გვაქვს ჩვენ „ახალი გზების“ მაღალი ხმით მაუწყებლებს.

რუსეთის შემდეგ ქართველ მეშვებისა და განსაკუთრებით ქართველ გვარდიელების წრეში მოხვედრა. ნიშნავს არაჭეულებრივ წრეში მოხვედრას, სადაც დაუსრულებელი სიხარული, სადაც არ არის აკრძალული კატორღაობა და ცოცხალია ადამიანი.

იქ სასწაულთა სასწაულია. იქ ბაღებიც კი ხელხლებელია. არ არის გადახნული და არიჩქნილი.

სახლში დასასვენებლად მისულ ქართველ წოდელ გვარდიელის განსურული თვისებაა, არა მხეცუმზარას კვნესა, როგორც ჩვენში, არამედ ვარდი მკერდზე, ვარდი ხელში და ვარდი თვით თოფის ტუჩისაც.

მე ამით არ მინდა ამ წერილში ქართველი მეშვისა და წოდელი გვარდიელის პსიქოლოგია გავარჩიო. რასაკვირველია, იმთავე აქვთ თანდაყოლილი ნაკლულოვანებანი, მაგრამ არ მინდა ამ წერილებზე შევჩერდე. მე მინდა მხოლოდ ამით ვუთმობო რუსის მკითხველს, რომ არის კიდევ ქვეყნად კუთხე ყოფილ რუსეთის უზარ-მაზარ სახელმწიფოში, სადაც ზნეობი და სიძულვილი არ არის ერთად-ერთი გრძნობა, და სიღამაზე ბურუჟაზიულ ცრუმორწმუნეობათ არ გაუხდიათ.

ოხ „ჩამორჩენილო“ საქართველოვ! რა სასიხარულოა, რომ ლუნაჩარსკის კეთილი განვითარება-განათლება და ტროცკის გილიოტინური პათოსი არ შეეხენ შენს საზღვრებს.

და რა კარგია, რომ შენ კიდევ არსებობ ამ ქვეყნად.

*) სტ. ვოლკა უკანასკნელ დროს ჩვენში იყო და რუსეთში დაბრუნების შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ აგიტაციას ეწეოდა.

მთავრობის ცნობა

გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილის და სხვათა დაჭერის შესახებ.

ჩემდამი რწმუნებულ სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულ რაზმს არა ერთხელ მოსულა ცნობა, რომ ზოგიერთი ყოფილი თავადები და აზნაურები ყოფილ ტფილისის თავად-აზნაურთა წინამძღოლის გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილის ბინაზე ფარულ თათბირს მართავენ.

თათბირზე იხილავდენ საკითხს, თუ როგორ აეღოთ გორის მაზრის გლეხებიდან წარსული წლების ღალა და ის ზარალი, რომელიც მათ მიაყენეს გლეხებმა რევოლიუციის დაწყებიდან. გადაწყვეტილ იქნა მოეწყოთ მთავრობისაგან ფარულად შეიარაღებული აზნაურთა რაზმი, რომელსაც მიენდობოდა ღალის შეკრება და ზარალის ანაზღაურება.

ეს რაზმი უნდა მოწყობილიყო აზნაურთა „შავი რაზმის“ დაგვარათ, რომელიც 1905 წელში გორის მაზრაში დაძრწოდა ცნობილ ამდუშელიშვილის ხელმძღვანელობით.

ამ შეიარაღებულ რაზმის მოწყობაში მონაწილეობას ღებულობდენ ზოგიერთი ის პირები, რომელთაც 1905 წ. შავი რაზმის ორგანიზაციასთან დამოკიდებულება ჰქონდათ. ჩემი განკარგულებით დაატუსაღეს: გიორგი, დავით და ვასილ ბაგრატიონ-დავითაშვილები, რომან და ივანე ბეგთაბეგიშვილები, ალექსანდრე დეკანოზიშვილი და რომეს ამირეჯიბი. დავით ბაგრატიონ-დავითაშვილის დატუსაღებისას, გაჩხრეკის დროს, სხვა საბუთთა შორის, აღმოჩნდა ვექილობის შავი ბარბალე დავითის ასულ ბაგრატიონ-დავითაშვილის სახელზე. აღნიშნულ ვექილობის ქაღალდში, სხვათა შორის ნათქვამია, რომ ბარბალე ბაგრატიონ-დავითაშვილისა, ან მისი რწმუნებული პირი, ვალდებულია შეკრიბოს „1917 წლის როგორც შემოსავალი, აგრეთვე მონეებული ზარალის გადასახადი ფულით დ სანოვაგით (ნატურით)“. შემდეგ ნათქვამია: „მისი შრომის და ხარჯების სანაზღაუროს ის ჩვენგან მიიღებს „სამხედრო ძალით შეკრებილ თანხიდან“. აშკარაა, რომ „სამხედრო ძალა“ გულისხმობს მათ მიერ მოწყობილ რაზს.

ამგვარათ, განსაკუთრებული რაზმის ცნობამ ამ რწმუნებულების ქალაქდში, რომელიც ნათელ ჰყენს და ფარდას ხდის შეთქმულთა სულისკვეთებას, უტყუარი საბუთები ჰპოვა. არა-კანონიერთან, ძალმომრეობით, მთავრობისაგან დაფარულათ, გორის მაზრაში გლეხებისაგან ღალისა და ზარალის განაღდების მიზანი შეთქმულთა ჯგუფისა თავის დროზე გამოაშკარავდა და ამ რიგათ სათავეშიე აღმოფხვრილ და ჩაკლულ იქნა, ერთის მხრივ, ზემო აღნიშნულ ჯგუფის ბოროტი ზრახვანი და, მეორეს მხრივ, გორის მაზრის გლეხებისაგან მოსალოდნელი ემსკესები, ვინაიდან გლეხები, ცხადია, ამ არაკანონიერ რაზმს იარაღითურ წინააღმდეგობას გაუწევდენ.

გორის მაზრაში ანარქიის მოსპობის და შეკიდნიანობის დამყარების დროს, ხსენებ შეთქმულთა ჯგუფი საქართველოს რესპუბლიკას ახალ ანარქიულ გამოსვლებს უქმნიდენ.

ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ბერლინი, ენკენისთვის 26. შამპანში არგონასა და მეუზას შუა ფრანგებისა და ინგლისელების შეტევა მთელ ფრონტზე 11 საათის მომხდების შემდეგ, რომელსაც მიზნათ ჰქონდა ჩვენი ფრონტების გარღვევა, ამაოთ ჩატარდა.

ბერლინი. ენკენისთვის 27. დასავლეთის ფრონტი. შამპანის მიდამოებში სიმაღლეების წინააღმდეგ, რომლებიც სუპპასა და ენის დასავლეთით მდებარეობს, ამასთანავე ვერდენის ჩრდილო-დასავლეთი მხრით, არგონასა და მასსიმის შუა, ფრანგებმა და ამერიკელებმა შეტევა დაიწყეს, რომლებიც გამძვინვარებული ბრძოლის შემდეგ უკუვაქციეთ. მათ მოგვრიების დროს თავი ისახელა ავსტრო-უნგრეთის ჯარმა. უმთავრეს ფრონტზე არტილერიას და ქვეითა ჯარი ერთათ მოქმედებენ. მდინარე ენის დასავლეთით ფრანგებმა, არიონის აღმოსავლეთის მხრით—ამერიკელებმა, რომელთაც მხარს უმაგრებდა აურაცხელი ჯავშნოსანი მატარებლები, შეტევა დაიწყეს ჩვენ პოზიციებზე. თანახმათ მიღებულ ბრძანებისა ჩვენმა მოწინავე ჯარმა უკან დაიხია და ნაჩვენებ ადგილზე გამაგრდა. ტაგიფორთან და რიპორთან მოწინააღმდეგეს საშვალება მიეცა მთელი დღის ბრძოლის შემდეგ შეეპკრიალებინა ჩვენს წინა ხაზებში. ამ აღმოსავლეთით დაღეულეთ ფრონტიდან შემოსვეა შეაჩერა რეზერვში მყოფმა ჯარმა. განსაკუთრებული იერიშები მიიტანა მტერმა ობერიისა და სემპის სამხრეთ-აღმოსავლეთის მდებარე ადგილებზე. ეს შეტევები მოგერებული იყო და მოწინააღმდეგემ დიდი ზიანი მიიღო. აგრეთვე სერნეს ჩრდილოეთით მტრის განმეორებითი შეტევები ვერ დამთავრდა მათ სასარგებლოთ.

არგონში ჩვენ მოვიგერეთ მტრის ნაწილობრივი შეტევები. არგონისა და მაასის შუა მტერი შემოიკრა ჩვენს წინა ხაზებში და მონტბრენვილის და მონტ ფოკონს მიახწია, აქ კი მისი წინსვლა ჩვენმა რეზერვებმა შეაჩერეს. მტერმა ზოგიერთ ადგილას მიახწია ჩვენი ქვეითა და საარტილერიო პოზიციას. ფრანგ-ინგლისელებმა მოიფიქრეს ფრონტის გარღვევა, მაგრამ ამათი, ჩვენმა ძლიერმა წინააღმდეგობამ ისინი დაამარცხა.

ტოკიო, 27 ენკენ. სააგენტო რეიტერის ცნობით, ენკ. 25, იაპონის კავალერია ნერჩინსკში ჩამოვიდა.

კოპენჰაგენი, ენკენ. 26. შვეიცის საგანძურო ნავი „გუნდიცი“ ნაღმს დაეტაკა და ჩაიძირა სკაგენიდან 6 მილის მანძილზე.

როტერდამი, ენკენ, 25. „მაას ბოოდე“ იტყობინება: ესპანიის გემი „რამონ-ნუმბარუ“ ერთ ინგლისელ გემთან შეტაკების შემდეგ ჩაძირა.

სტამბოლი, ენკენ. 27. სამხედრო ცნობა. პალესტინის ფრონტი. მარჯვენა ფრთაზე ძლიერი ბრძოლაა.

მესოპოტამიის ფრონტი. ბირთან ჩვენ მოვაგერიეთ მტრის კავალერია. სხვა ფრონტებზე ახალი არაფერია.

ვენა, ენკენ. 27. ტიროლის და ვენეციის ფრონტებზე საარტილერიო ბრძოლაა. დასავლეთის ფრონტზე მაასის დასავლეთით ბრძოლაში მონაწილეობას ღებულობს ავსტრო-ჰუნგრეთის ჯარი.

ბერლინი, ენკენ. 27. საღამოს სამხედრო ცნობა. კამბრეს მიმართულებით, არასის და პერონის მხრივ ინგლისელები და ამერიკელები შეტევებს აწარმოებენ. ამ შეტევის დროს მტერმა რამდენიმე ტერიტორია მოიგო. შამპანის მიდამოებში ფრანგებმა და ამერიკელებმა შეტევის დროს ვერ გაიმარჯვეს.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ.

ტაშკენტი, ენკენ. 27. ფრონტებზე ცვლილება არ არის, აჭტიუბინსკში მოხდა მნიშვნელოვანია 1915—1919 წ. გასაწევი ახალგაზრდათა. ასხაბადის ფრონტის შტაბი ზომებს ღებულობს ასხაბადის კონტრ-რევოლიუციონერ მოძრაობის საღიკვიდაციოთ. გამორკვეულია, რომ მტრის ძალა სუსტია. რკინის გზებზე ოპოზის კონტრაბანდით გადატანის გამო ორენბურგის ფრონტის შტაბმა გამოსცა ბრძანება დახურტელ იქნეს წინა ხაზებში და მონტბრენვილის და მონტ ფოკონს მიახწია, აქ კი მისი წინსვლა ჩვენმა რეზერვებმა შეაჩერეს. მტერმა ზოგიერთ ადგილას მიახწია ჩვენი ქვეითა და საარტილერიო პოზიციას. ფრანგ-ინგლისელებმა მოიფიქრეს ფრონტის გარღვევა, მაგრამ ამათი, ჩვენმა ძლიერმა წინააღმდეგობამ ისინი დაამარცხა.

ტოკიო, 27 ენკენ. სააგენტო რეიტერის ცნობით, ენკ. 25, იაპონის კავალერია ნერჩინსკში ჩამოვიდა.

კოპენჰაგენი, ენკენ. 26. შვეიცის საგანძურო ნავი „გუნდიცი“ ნაღმს დაეტაკა და ჩაიძირა სკაგენიდან 6 მილის მანძილზე.

როტერდამი, ენკენ, 25. „მაას ბოოდე“ იტყობინება: ესპანიის გემი „რამონ-ნუმბარუ“ ერთ ინგლისელ გემთან შეტაკების შემდეგ ჩაძირა.

სტამბოლი, ენკენ. 27. სამხედრო ცნობა. პალესტინის ფრონტი. მარჯვენა ფრთაზე ძლიერი ბრძოლაა.

მესოპოტამიის ფრონტი. ბირთან ჩვენ მოვაგერიეთ მტრის კავალერია. სხვა ფრონტებზე ახალი არაფერია.

ვენა, ენკენ. 27. ტიროლის და ვენეციის ფრონტებზე საარტილერიო ბრძოლაა. დასავლეთის ფრონტზე მაასის დასავლეთით ბრძოლაში მონაწილეობას ღებულობს ავსტრო-ჰუნგრეთის ჯარი.

ბერლინი, ენკენ. 27. საღამოს სამხედრო ცნობა. კამბრეს მიმართულებით, არასის და პერონის მხრივ ინგლისელები და ამერიკელები შეტევებს აწარმოებენ. ამ შეტევის დროს მტერმა რამდენიმე ტერიტორია მოიგო. შამპანის მიდამოებში ფრანგებმა და ამერიკელებმა შეტევის დროს ვერ გაიმარჯვეს.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ.

ტაშკენტი, ენკენ. 27. ფრონტებზე ცვლილება არ არის, აჭტიუბინსკში მოხდა მნიშვნელოვანია 1915—1919 წ. გასაწევი ახალგაზრდათა. ასხაბადის ფრონტის შტაბი ზომებს ღებულობს ასხაბადის კონტრ-რევოლიუციონერ მოძრაობის საღიკვიდაციოთ. გამორკვეულია, რომ მტრის ძალა სუსტია. რკინის გზებზე ოპოზის კონტრაბანდით გადატანის გამო ორენბურგის ფრონტის შტაბმა გამოსცა ბრძანება დახურტელ იქნეს წინა ხაზებში და მონტბრენვილის და მონტ ფოკონს მიახწია, აქ კი მისი წინსვლა ჩვენმა რეზერვებმა შეაჩერეს. მტერმა ზოგიერთ ადგილას მიახწია ჩვენი ქვეითა და საარტილერიო პოზიციას. ფრანგ-ინგლისელებმა მოიფიქრეს ფრონტის გარღვევა, მაგრამ ამათი, ჩვენმა ძლიერმა წინააღმდეგობამ ისინი დაამარცხა.

ამბები მთავრობაში.

○ მიწათ-მოქმედების მინისტრმა ეროვნულ საბჭოს პროექტით გაუგზავნა კანონ-პროექტი მთავრობის ხელში ტყეების გადასვლის შესახებ.

○ შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველოს რესპუბლიკიდან გასვლის ნებართვის ბარათის და საზღვარ—გარეთის პასპორტის მიცემა შესწყვიტა. ამიერიდან ეს ბარათები და პასპორტები მსურველთ უნდა მიიღონ გუბერნიის კომისრისა და ტფ. მილიციის უფროსის კანცელარიიდან.

○ სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენლად იმ კომისიაში, რომელიც მიემგზავრება ბაქოს, დაინიშნა ქაიხ. აღ. ყიფიანი.

○ ჩინეთელმა ბერლინში ხელშეკრულება დასდო ფოთი—პოსტაციის კაბელის ექსპლოატაციის შესახებ. ეს ხელშეკრულება საქართველოს მთავრობამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს.

○ სახელმწიფო კონტროლიორის განკარგულებით საქართველოს რკინის გზათა მთავარ სახელობის რევიზია დაინიშნა.

○ სამხედრო სამინისტროსთან დაარსდა განსაკუთრებული სამხედრო კომისია, რომელსაც დავალებული აქვს გადასინჯოს, გაიმოხარკინოს და განიხილოს სამხედრო დადგენილებანი, წესდებანი და კანონ-პროექტები საქართველოს მხედრობის ტანისამოსის ფორმისა და მოწყობისა.

○ უკრაინაში საქართველოს დიპლომატიურ მისიასთან სამხედრო ატაშეთ მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით დაინიშნა შტაბს-კაპიტანი ალ. სვანიძე.

○ გენ. წულუკიძეს სამხედრო მინისტრის ამხანაგმა მადლობა გამოუცხადა აღზრდილის ამხოხების დროზე ჩაჩრობისა და ენერგიულ მოქმედებისათვის.

○ წმ. გიორგის საქორელის საბჭოს წევრებათ დაინიშნენ მეორე საარტილერიო ბრიგადის 1 ბატარეის კომენდანტი კაპ. ილ. მახარაძე და მე-5 ქვეითი პოლკის კაპიტანი მგსხიშვილი.

○ განათლების სამინისტრომ სთხოვა მთავრობას ნებადართოს ქალაქის თვითმართველობას სახელმძღვანელობის რეცენზიები მოახდინოს.

○ შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით განსაკუთრებულმა რაზმმა დაატუსაღა როსეკ ამირეჯიბი.

○ მიწად-მოქმედების მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: ამიერიდან მოისპოს საერთოდ საქართველოს ტყეებიდან ყოველგვარი ხე-ტყის უფასოდ გაცემა.

○ სამხედრო მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: სამხედრო მინისტრის მიერ წარმოდგენილი დებულების პროექტი სამხედრო საველე სასამართლოს შესახებ მოწონებულ იქნას იმ ცვლილებით, რომ იმ სასამართლოებს დაერქვას საგანგებო სამხედრო და არა სამხედრო-საველე სასამართლოები. ეს პროექტი გადაეცეს ეროვნულ საბჭოს დასამტკიცებლად.

○ ფინანსთა მინისტრის მოხსენებით გერმანიაში გასაგზავნ კომისიის ორ წევრს ორასებს ზლატინს და ლომოურს დაენიშნა ჯამაგირად, თანახმად კომისიის შტატებისა, თითო 2000 მან. თვეში და 1500 მარკა სამგზავროდ.

საბალხო განათლება.

○ ეროვნულ საბჭოს პროზედიუმში შეიტანეს კანონ-პროექტი არა-ქართულ სასწავლებლებში ქართულ ენის სავალდებულო სწავლების შესახებ. პირველ ხანებში ქართული ენა სავალდებულო იქნება მეოთხე კლასამდე, ხოლო ქართულ ისტორიის სწავლება უფროს კლასებში რუსულ ენაზე იქნება.

○ განათლების სამინისტროს განხორახება აქვს ამ მოკლე ხანში ტფ. პოლიტეხნიკუმი შეუერთოს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ამის გამო განათლების მინისტრს შუამდგომლობა აღუძრავს მთავრობის წინაშე.

○ ქალაქის სასკოლო საბჭომ დაადგინა, რომ არა-ქართულ პირველ და უმაღლეს დაწყებულ სწავლებში ვალდებული არიან სახელმწიფო (ქართული) ენის გაკლას, რომელიც უნდა დაიწყონ პირველ დასაწყისის სკოლის მე 3 კლასიდან და ცხრაში ხუთი გაკვეთილი უნდა იყოს ამ ენის შესასწავლათ.

○ საგანგებო კომისიამ დაათვარა პირველ დასაწყის სკოლის ახალი პროგრამის შედგენა და ამ დღეებში სასკოლო საბჭო განიხილავს ამ პროექტს.

○ „განათლების“ საზოგადოების სამხატვრო სახელოსნო სასწავლებელში პირველ ოქტ. (ახ. სტ.) იქნება პარალელი. სწავლა დაიწყება ოთხშაბათს ორ ოქტომბ. მოწაფეების მიღება გრძელდება.

○ გზათა სამინისტროს სათერმინოლოგიო კომისიის სხდომა შესდგა ცვირს 27 სექტემბერს ივ. ნ. მაჰვაროიანის თავმჯდომარეობით. კომისიამ დაამთავრა ცალკე განყოფილებათა მასალის განხილვა, გაარკვა საქმე, სასანტარო და სასამართლო განყოფილებათა, რომლის განხილვასაც კომისია სრულიად არ შეუდგება, ვინაიდან ეს განსაკუთრებულ სპეციალისტთა დარგს შეეხება. კომისიას დარჩა მხოლოდ განსახილველი სპეციალტერო განყოფილება. კომისიამ მიანდო მთავარ ბუხჰალტერს სასოფლო-სამეურნეო ბანკის დირექტორ გრ. ყიფშიძესთან ერთად, გაეცნოს ქართულ ბანკების თერმინოლოგიას და შემდეგ კრებისთვის წარმოადგინოს. რაც შეეხება საბოლოო ალუვიტის შედგენას, კომისიამ მიანდო დ. ორონდიძეს წარმოადგინოს ეს სია მას შემდეგ, როცა მომთავრდება ყველა ნაწილების საერთო მასალა.

○ რკინის გზის საერთო საქმეთა წარმოების უფროსმა განკარგულება მოახდინა, რომ ტყეიბულის მადნების ბუშებს „შუშათა მატარებლებში ნება ეძლეთათ უფასო ზოგიერთობისა ტყეიბულიდან ქუთაისამდე და უკანდა კვირაუქმე დღეებში. ყველა ბუშებს თან უნდა ჰქონდეთ შესაფერისი მოწმობა ფოტოგრაფიულ სურათით.

○ რკინის გზის ბიუროს თავმჯდომარე ბ. ოკუნევი აცხადებს რუსეთის რესპუბლიკის მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ სალიკვიდაციო ანგარიშს მხოლოდ იმ მოსამსახურეებს გაუსწორებს, ვინც 20 ოქტომბრამდე შეიტანს ბიუროში განცხადებას, რომ მათ სურთ რუსეთის კანონების და მიხედვით სალიკვიდაციო ანგარიშის გასწორება და ამასთან ერთად წარადგენენ მოწმობას, რომ ისინი რუსეთის ქვეშევრდომებად ირიცხებიან.

გეოგრაფიული საზოგადოება.

○ სახელმწიფო ბონების დამზადებელ ექსპედიციის მძარავლეთაგანი, თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ მიღებულ დებეშისა, შეუპირათ. იგი აღმოჩენილი ვინმე ვეხულია, რომელსაც უნახეს 32 ათასი მანეთი.

○ 24 ენკენისთვეს, ღამით ბოროტ-გამზრახველებმა სახელმწო სამინისტროს კასის სტამბიდან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, 3. ჩაიღეს 15,336 მან.

შეშაია შორის.

○ უზუზევართა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ შრომის სამინისტროში წინადადება მისცა ტფილისის ქალაქის ბრონის ბირჟას მოახდინოს ქალაქის ყველა უმუშევართა აღწერა. აღწერა უნდა მოახდეს 5, 6, 7, ოქტომბერს, რის შემდეგ მიღებული იქნება ზომები მათი მდგომარეობის გასაუმჯობესოდ.

○ გუშინ გაემგზავრენ ტყეიბულში შრომის პირობების მოსაწესრიგებლად ტყეიბულის მუშათათვის აღსართულებელ კომიტეტის წევრი ამხ. ხართიშვილი და პროფესიონალურ კავშირიდან ამხ. ვადაჭკორია.

სხვადასხვა ხალხ.

○ მეურნეობასთან ახლო მდგომ ორგანიზაციების ცნობით, თითქმის მთელ საქართველოში პურის მოსავლის შეკრეფას ხელს უშლიდნენ კარგა ამინდები, რის გაჟოც მარცვალი გამოვიდა უფუთა და თეთრი. წესქვილების რიცხვი მცირედია და ვერ ასწრებს მოსავლის დაფქვას. ხორბალი სოფლელმა მტაცეც ფასებში იყიდებს. სურვილი ფასის დაკლებისა არ ეშნევა, ოღონდ დაიკლოს ფასი ხშირად სიმინდმა. კარტოფილი ცოტათი გაძვირდა. ყურძნის მოსავლის მოკრეფა თავის დროზე დაიწყეს.

○ ქალაქის გამგეობის გადაწყვეტილებით ქალაქის იფფასიან სასადილოებში სანოვაგის მიტანისთვის გაძვირების გამო პირველ ოქტომბრიდან სადილი ეღირება 4 მანეთი.

○ გერმანიის მისიამ გუშინ ფიწყნ ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილებას, რომ ფოთში უკვე მოვიდა უკრაინიდან გერმანიის ტრანსპორტი 114 ათას ფუთი ხორბლით და სთხოვა განკარგულება მოახდინოს ამ ხორბლის ტფილისში ჩამოსატანათ.

○ გუშინ მთავრობის დადგენილებისამებრ, პურის მყიდველ მთავარ რწმუნებულ ირაკლი შველის თავმჯდომარეობით სასურსათო სამინოს პირველი კრება მოხდა.

○ ქალაქის გამგეობამ შაქრის გაყიდვა დროებით გააჩერა, სანამ რევიზია არ გათავდება და ამიტომ შესაძლოა, რომ ოქტომბრის პირველ რიცხვებში მოქალაქეებმა შაქარი ვერ მიიღონ.

○ სასურსათო განყოფილებამ გაუგზავნა ყველა ნაწილის სასურსათო კომიტეტებს შაქრის ბარათები მოქალაქეთა დასარიგებლად ოქტომბერში შაქრის მისაღებათ. ეს ბარათები დღეს ითათია შაქრი თითო ჩაწერილ სულზე, მხოლოდ არა მეტი სამ მანეთზე, თუ ბარათში ერთათ მოქცეულია ოჯახი, რომელსაც შეადგენს ექვს სულზე მეტი.

ხელოვნება.

○ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის საღამო გაიმართება შაბათს 5 ოკტომბერს კონსერვატორიის დარბაზში (გრიბოედოვის ქუჩა) ბილეთების შეძენა შეიძლება დღეიდანვე ს. ქ. ვ. სახ. წიგნის მაღაზიაში. საღამოს ეწყობა განსაკუთრებული სტილის და შეეწირება მხოლოდ გალაკიონ ტაბიძის შემოქმედებას.

განმავითარებლობა.

○ ქ. ს. წ. ქ. სახ. წიგნის მაღაზიაში უკვე იყიდება ახლად გამოსული და დაბეჭდილი ახლად შეესწორებული წიგნები „დედა-ენა“ მეორე ნაწილი, „ბუნების კარი“, ბრამელაშვილის არითმეტიკული კრებული 1 და 2 ნაწილი და სხვ.

კრება.

○ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრება. ენკენ. 29-ს, დილის 12 საათზე ქართულ უნივერსიტეტში მოხდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება. განსვენებულის კათალიკოს-პატრიარქის კირიონ მე-II-ს სახელის პატივსაცემათ წაკითხვენ მოხსენებებს: 1) მ. ჯანაშვილი—„მისი უწმიდესობა კირიონი“ და 2) ლეონ მელიქიშვილი—„საეკლესიო შრომანი კირიონ მე-II-სა რუსულ ენაზე. კრებას, გარეშეებსაც შეუძლიანთ დაესწრონ.

სასამართლოს გარშემო.

○ საგამომძიებლო კომისიაში, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ჰგზავნის ბ-ნ გელოვანის თავმჯდომარეობით ბელი კლიუჩში უკანასკნელ ამბის გამოსაძიებლათ, სომეხთა ნაციონალურ საბჭოს დელეგატათ ნაფიცი ვექილი ბ-ნი პაპოვიანი ამოირჩია.

○ საოლქო სასამართლოს საგანგებო სამეთოი გამომძიებელი საგუბერნიო ციხეში მივიდა ყალენიკ ლოღობერიძის ჩვენების ჩამოსართმევად, მაგრამ იგი ამ ციხეში არ აღმოჩნდა. გამოირკვა, რომ ლოღობერიძე სახალხო გვარდიის მთავარ შტაბში იმყოფებოდა და გამოუშვიათ საბრალმდებლო ნაწილის დაუკითხავათ.

○ საოლქო სასამართლოს საგანგებო სამეთოი გამომძიებელმა დაასრულა გენერალ რუბანაუ ჯუნკოვსკის, ალექსანდროვსკის ტ. ხ. საქმეები.

○ იუსტიციის მინისტრის მოხსენებით დაინიშნა სავანგებო კომისია სამხედრო შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების წარმომადგენლებისაგან, რომელთაც მიენდო სასამართლოს გამომძიებელთან შეთანხმებით ყოველ თითეული შემთხვევაში იმის გადაწყვეტება, ბრალდებული გამოსაშვებია ციხიდან თუ არა.

○ სავანგებო სასამართლოს თავმჯდომარეთ დაინიშნა ნაფიცი ვექილი და ეროვნული საბჭოს კანცელარიის გამგე ივ. ჯაფარიძე. წევრებათ სილ. ჯიბლაძე. ოლქის სასამართლოს წევრი კარასოვი. ბრალმდებლებათ კი დაეთ ტატიშვილი და მელქისედეკ კახდელაკი.

სხვა და სხვა ამბები.

○ სამტრედიის სახალხო გვარდიის შტაბის უფროსი ატყობინებს დებეშით გზათა სამინისტროს, რომ გვარდიელების ჯამაგირების გამოწერა მას დღის შემდეგ რაც ეს რკინის გზის ოანხიდან დაეკისრა რკინის გზას, იმიათ ცუდ პირობებში ჩავარდა, რომ გვარდიელები უჯამაგიროთ სხედან და არ ვიცით ვის კომპეტენციას ეხება ეს საქმე. შტაბს არა ერთხელ უთხოვია ამ საქმის განმარტება, მაგრამ დღემდე გადაგრილი პასუხი არ მიუღია. შტაბის უფროსი სთხოვს სამინისტროს დაუყონებლივ განკარგულება მოახდინოს, რათა სამტრედიის სახალხო გვარდიელების ჯამაგირების მიღება წესიერად მოეწყოს.

განცხადებები

ფრანც კუჩინსკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი და რუსეთში წასასვლელად რიგში ჩაწერის ქვითარიც. 311 3—1

ქვირას, 29 ენკენისთვეს, დილის 10 ს., კაკაჯის საბარეშო სადგურის შენობაში, მუშტაიდი,

დანიშნულია საზოგადო კრება

ტფილისის წყლის პირველი ოქის წევრებისა.

კრების საგნები: 1. არჩევა ახალი მერაბისა, დარჩენილ სამ წლიან ვადაზე 1918—1920 წ. წ. 2. მიმდინარე საქმეები. თუ დანიშნულ დროზე კრება არ შესდგა საკმარის წევრთა გამოცხადებლობის გამო, იმავე დღეს, 29 ენკენისთვეს, საათის თორმეტზე კრება კრებულ კანონიერი იქნება, რომელიც უნდა დაესწროს. საკითხის სირთულის და საჩქაროს გამო სამჯერ სთხოვს ყველა წევრს აუცილებლად მობრძანდეს კრებაზე, ან გამოგზავნოს რწმუნებული პირი, რომელსაც ექნება კანონით დაწესებული

ამ ნომრის ფასი 1 მანეთი 50 კაპ. ამ ნომრის ფასი 1 მანეთი 50 კაპ.

ამ ნომრის ფასი 1 მანეთი 50 კაპ.

ამ ნომრის ფასი 1 მანეთი 50 კაპ.

ამ ნომრის ფასი 1 მანეთი 50 კაპ.

ამ ნომრის ფასი 1 მანეთი 50 კაპ.

გამოდის ყოველ დილას, გარდა კვირა დღეებისა. რედაქცია და კანტორა ტფილისში, ალ. ყაზბეგის პროსპექტზე, № 3. ტელეფონი № 807. ადრესი: ტფილისი, ალ. ყაზბეგის პროსპექტი № 3. ფასი: ერთი თვით 3 მან. 50 კაპ., სამი თვით 10 მან. 50 კაპ., ექვსი თვით 21 მან., ერთი წლით 42 მან. ფასი: ერთი თვით 3 მან. 50 კაპ., სამი თვით 10 მან. 50 კაპ., ექვსი თვით 21 მან., ერთი წლით 42 მან. ფასი: ერთი თვით 3 მან. 50 კაპ., სამი თვით 10 მან. 50 კაპ., ექვსი თვით 21 მან., ერთი წლით 42 მან.